F550 N 7718

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1992
შაბათი
14
იანვარი
№ 3 (10534)
ფასი 5 კაპ.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურისა და საკრებულოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა საქართველოს მთელ მოსახლეობას

იმ დროს, როდესაც ფაქტობრივად მიღწეულია ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა, როცა მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა ოფიციალურად აღიარეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა, სამშობლოს მოღალატეებმა, ისევე როგორც 1921 წლის თებერვალში, პირი შეკრეს საკუთარი ერის წინააღმდეგ.

საქართველოში მომზადდა ღალატი. 1921 წლის თებერვლის რევკომის ანალოგიურად შეიქმნა დანაშაულებრივი სამხედრო საბჭო, რომელმაც მიზნად დაისახა ქართველი ერის, საქართველოს მთელი მოსახლეობის მონაპოვართა ფეხქვეშ გათელვა, ჩვენი სამშობლოს მოქცევა იმპერიულ მონობაში.

ახლა წყდება ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს ყოფნა არყოფნის საკითხი. მოგიწოდებთ ყველას მტკიცედ დავდგეთ ეროვნული ინტერესების დასაცავად, ჩვენი სამშობლოს თავისუფლების, ჩვენი შვილების მომავლის სადარაჯოზე.

საქართველოს ყოველი მოქალაქე, საწარმო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან უარი თქვან ე. წ. სამხედრო საბჭოს განკარგულებების შესრულებაზე.

კანონიერი ხელისუფლება, რესპუბლიკის პრეზიდენტი აკონტროლებენ ვითარებას საქართველოში, მათ ემორჩილება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ყველა ორგანო. დანაშაულებრივმა სამხედრო საბჭომ უკვე ჩაიდინა უკანონო მოქმედებათა მთელი სერიალი: „შეაჩერა“ კონსტიტუცია, „დაითხოვა“ პარლამენტი, ვითომდაც მოახდინა ორგანიზაციული ცვლილებები მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში, „გამოაცხადა“ საგანგებო მდგომარეობა და სხვა. არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ მათი მოქმედების შედეგია დანგრეული შენობები დედაქალაქის ცენტრში, ათობით დახოცილი, ასობით დაჭრილი და მრავალი აწიოკებული ოჯახი, ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო პრესტიჟის შელახვა.

თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე ქართველ ხალხს მთელ საქართველოს მტრული ძალების მიერ შექმნილი მრავალი დაბრკოლება გადაულახავს. მტკიცედ გვწამს, რომ იგი ამჯერადაც ღირსეულად გამოვა შექმნილი მდგომარეობიდან.

მოგიწოდებთ შექმნათ ნაციონალური კომიტეტები, რათა საქართველოში დაიწყოს საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობა, მოაწყოთ მანიფესტაციები და მიტინგები მოღალატეთა კრიმინალური ხუნტის მიერ ხელისუფლების უზურპაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

## მიმართვა ქართველ ერს

მამულიშვილნო! მოგმართავთ მთელი ქართველი ერისათვის ამ საბედისწერო ჟამს, როცა ეგრეთწოდებული ყოფილი კომუნისტური კრიმინალური პარტიის, კრიმინალური ბანდების მიერ მოხდა ქართველი ერის ტერორისტული აწიოკება. რაკი ვერ შეძლეს საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის პოლიტიკური დამარცხება, ყველა ჯურის პოლიტიკურმა ავანტიურისტებმა, ხელმოცარულმა ფუნქციონერებმა, კომუნისტური რეჟიმის ლაქიებმა, ავადმყოფური ამბიციებით შეპყრობილმა ეგრეთწოდებულმა ინტელიგენციამ მოახდინეს ქართველი ერის ღირსებისა და ნებების ხელყოფა, ერის ტერორიზება და მეთოდურად შეუდგნენ იმის ნგრევას რაც საუკუნეთა განმავლობაში რუდუნებითა და ნიჭიერებით, სულიერი და ფიზიკური ძალისხმევით შეუქმნია ქართველ ერს.

სწორი ყოფილა პრეზიდენტის მიერ შეუმცდარად მხილებული და განსაზღვრული ის შინაგანი ვერაგობა, რისი მატარებელიც იყო ქართველი ერის მიერ უკუგდებული მობალადე. დამპყრობელი კომუნისტური კრიმინალური პარტიის ბოროტი, სატანური მაფია ჩვენი ერის დამოუკიდებლობისადმი.

ქართველმა ერმა თავისი თვალით იხილა ყველა ის საშინელება, სისაძაგლე, ვანდალიზმი, რაც დაატრიალეს მონური ფსიქოლოგიით შეპყრობილმა კუჭის იდეოლოგიის ერთგულმა ლაქიებმა.

დედათბილისში არც მურვანყრუს, აღა-მაჰმად-ხანს, თემურლენგს არ დაუტრიალებიათ ასეთი ჯოჯოხეთის ბორბალი, როგორც გააკეთეს ორჯონიკიძის, ბერბიჭაშვილის შთამომავლით. დაინგრა ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები. ივარყვეს თვით უწმინდესი ხალოცავი ერისა ქაშვეთი, ცეცხლმა შთანთქა ხელოვნების მუზეუმი, საჯარო ბიბლიოთეკა, ერის სიამაყე პირველი საშუალო სკოლა, მხატვრის სახლი, სახელმწიფო არქივი, უნიკალური ღირებულების დოკუმენტური მასალებით. დაინგრა ასობით საცხოვრებელი ბინა. აწიოკდა ათასობით ოჯახი. დაიღუპნენ ერის თავისუფლების მომლოდინე უდანაშაულო მამულიშვილები. სატანურმა ძალამ შავად გაუთენა მარხვა-ახალი წელი და შობა მარიამ-ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას.

ბოროტმა ძალამ მოინდომა ჩაეკლა ქრისტეს მადიდებელ და მათაყვანებელ ხალხში თავისუფლებისაკენ სწრაფვა, ურთიერთსიყვარულისა და თანადგომის გრძნობა, ხვალინდელი დღის რწმენა და იმედი.

პოლიტიკურმა ბეცებმა მოინდომეს ეროვნული პარლამენტის წევრებისა და პრეზიდენტის სიცოცხლის ხელყოფა. შეუდგნენ მთავრობის სასახლის მეთოდურ ნგრევას, გამოიყენეს რუსის იმპერიალისტური დამპყრობი ჯარის მძიმე საარტილერიო და სარაკეტო ტექნიკა, თავისი დაქირავებული ეკიპაჟებით, დამმიზნებლებით, სნაიპერებით, პრეზიდენტის ბუნკერში კიტოვანის მიერ სპეციალურად იყო შეგზავნილი დაქირავებული რუსი მკვლელი, ამოქმედდა ღალატის, ჯაშუშობის, ვერაგობის ჯოჯოხეთური მანქანა, რომელიც შევარდნაძის აგენტურამ შეუგზავნა პრეზიდენტის ამალას.

მიუხედავად ამ ჯოჯოხეთური ტერორისა, რაც გამიზნული იყო ქართველი ერის შესაშინებლად და დასათრგუნავად, ქართველმა ხალხმა ზუსტად განსაზღვრა დატრიალებული ტრაგედია, ვერავინ ვერ აღუდგება ქართველი ერის ნებას დაიცვას მრავალათასწლოვანი სახელმწიფოებრიობა, ერის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ არჩეული ეროვნული პარლამენტი და ერის ღირსეული წინამძღოლი პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის ერთგულმა გვარდიამ და ხალხის მოხალისე რაზმებმა მოახერხეს გაენადგურებინათ ტერორისტების—კიტოვანისა და სიგუას საბრძოლო შტაბი და ვაჟა ადამიას დაჯგუფება, მტრის მხარეზე მყოფმა ჭარბმა სამხედრო ძალამ, უზენაესი საბჭოს საკომუნიკაციო დანადგარების მწყობრიდან გამოსვლამ, გამოიწვია რესპუბლიკის კანონიერი ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებულიყო ბლოკადის გარღვევა და უშუალოდ გასვლა აღშფოთებული ერის ხელმძღვანელოდ.

ტყუილია, თითქოს პრეზიდენტი გაიპარა საქართველოდან. სინამდვილეში საბრძოლო კორტეჟს, რომელმაც გამოიყვანა პრეზიდენტი და უზენაესი საბჭოს წევრები მთავრობის სახლიდან შეიარაღებულმა ტერორისტებმა დაუნდობელი ცეცხლი გაუხსნეს, რათა ფიზიკურად გაენადგურებინათ ყველანი. მოხერხდა მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიმართულებით გასვლა. ყველამ ვიცით რომ პრეზიდენტი ცოცხალია და დარწმუნებულია საკუთარ და თავისი ხალხის სიმართლეში.

ეგრეთწოდებულმა გადემოკრატებულმა რუსმა იმპერიალისტებმა და მათმა ქართველმა ლაქიებმა წამოიწყეს გაშიშვლებული სადეზინფორმაციო ომი ქართველი ერის წინააღმდეგ.

ქართველმა ერმა ღრმად გაიცნობიერა ბნელი ძალების მზაკვრული ჩანაფიქრი. ერთი წუთითაც არ დაყოვნებულა მასობრივი საპროტესტო გამოსვლები, მიტინგები, მანიფესტაციები, რითაც მთელი ერი შეუვალ კლდესავით აღიმართა კრემლის მარიონეტების წინააღმდეგ.

ამ ჯოჯოხეთური ცეცხლის გამჩაღებლები ცდილობენ ეროვნულ მოძრაობაში მოიგონონ საქართველოში ვითომც კუთხურობის პრობლემა და ზვიად გამსახურდიას მხარდაჭერა მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მიერ ახსნან მისი კოლხური წარმოშობით. როგორც აიეტი, ქუჯი, გუბაზი, ცოტნე დადიანი წარმოადგენდნენ საქართველოს გენეტიკური და სახელმწიფოებრივი ერთიანობის, მთლიანობის სიმბოლოს, როგორც არასდროს დღევანდელი ერთიანი, განუყოფელი და დიადი საქართველოს კოლხეთის შვილები მზადა ვართ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცვათ საქართველოს სახელმწიფოებრივი ხელშეუხებლობისა და მთლიანობის იდეა, ამიტომ ყველა ის, ვინც ეპოტინება მთელი ქართველი ერის მიერ აბსოლუტური უმრავლესობით არჩეული ხელისუფლების და პრეზიდენტის სავარძელს, განწირულია და პირისაგან მიწისა აღიგვება მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოდან.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიყვარული შეგვაძლებინებს

მძიმე დღეები გვიდგას. დაიდალა გონება, გული ყოველი ჩვენთაგანისა უსიამო, ტრაგიკულ მოვლენებზე ფიქრით. ნებისმიერი სალად მოაზროვნე ადამიანი სწორად იცნობიერებს ყველა იმ მიზეზს, საიდანაც დღევანდელი გაუხარელი ყოფა იღებს სათავეს. ეს არის მიზეზთა მთელი წყება, რომელიც მცენარის ფესვთა სისტე- სავით განტოტვილია და ნიადაგის გაბინძურებას უწყობს ხელს.

თითქმის ხანალური განდფრაზა: ჩვენი სულიერი, თუ ეკონომიკური სიდუხჭირის საფუძველი ავადსახსენებელ ავტორიტარულ რეჟიმში დევს. ამ რეჟიმმა მხოლოდ უტოპიური ფორმულებით, მატყუარა ლოზუნგებით აცხოვრა უნიტარულ სახელმწიფოში მოხვედრილი ყველა ხალხი. და მათ შორის ქართველობას, თავისი სულიერი წყობით, კულტურული ტრადიციებით, თუნდაც თავისებური ფსიქოლოგიური ნიშნებით გამორჩეულ ერს ეკონომიკური და სულიერი გაპარტახება მოუტანა. ქართველი კაცი ბუნებით ლაღი, იგი ძალდატანების ნებისმიერ ფორმას ვერ ურიგდება, მოქმედების თავისუფალ არეალს ეძებს და ბუნებრივია, შინაგან ხერხემალს და მყარ რეალურ საფუძველს მოკლებულ ბიუროკრატიულ სტრუქტურებში საკუთარი პოტენციალის სრული ძალით რეალიზებას ვერ მოახერხებდა. ამას დაემატა ცრუ და ხატანური კომუნისტური იდეოლოგია, რომელმაც ეკლესიურ ცხოვრებას, ქრისტიანული მოძღვრების მადლს მოწყვიტა იგი და ამით ფაქტიურად განწირა იგი სულიერი გაუხეშებისათვის. არაერთგზის აღუნიშნავთ ჩვენი ერის სულიერ მოძღვრებს, რომ ყველა ის უბედურება, რაც თავს დაგვატყდა ამ ბოლო წლებში, უზენაესის მიერ არის ჩვენთვის ბოძებული. და უპირველეს კოლექსია(?) იმის გამო, რომ ცოდვიანები ვართ, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ქრისტეს გარეშე, სიყვარულის გარეშე გვაცხოვრეს.

ერს დღესაც ჰყავს ბრძენნი. ღმერთმა ნუ ქნას სხვანაირად იყოს. სწორედ მათი ბაგეებიდან მრავალგზის გვსმენია და ამ საოცრად შეპირვებულ ჟამსაც ყურში ზარივით რეკს მათი შეგონება, რომ მთელი ხალხის ცნობიერების ამაღლება საჭირო. ჯერ კიდევ ხაზიმ შინაგან ბიძგებს გრძნობს ათასობით ქართველი კაცის შეგნება და ფსიქიკა, იმ ელემენტარული დაბალი დონის წყალობით, რომელიც რიგი ჭეშმარიტი ლიდერების სწორად აღქმის შესაძლებლობას გვისპობს. სხვადასხვა მიზეზთა გამო მავანნი კვლავ რჩებიან არაჯანსაღი, ზოგჯერ საშიში ინსტინქტებისა და ლტოლვების ტყვეობაში, რაც ასე უარყოფითად მოქმედებს საერთო საზოგადოებრივი ყოფის მოწესრიგების, ადამიანურ ურთიერთობათა ჰარმონიზირების საქმეში.

ალბათ ძალზე დიდი დრო დაგვჭირდება ყველა იმ მიზეზისა თუ ფაქტორის ბოლომდე გაცნობიერებისათვის, რამაც ბოლო ხანების ტრაგიკული შედეგები გამოიწვია. სხვა მომენტებთან ერთად სწორედ ის ქრისტიანული სიყვარულისა და ურთიერთ მიტევების მადლი არ აღმოგვაჩნდა, რაც ასე ხაშური და აუცილებელი იყო ახალი საქართველოს აშენებლად. განგებამ თუ ისტორიული პერიოდის შინაგანმა ტრაგიკულმა წინააღმდეგობებმა მოგვიწყო უმკაცრესი გამოცდა, მაგრამ იგი წ... ატებით ვერ ჩავაბარეთ, ახ..., მოვლენების ცხელ კვალზე ყველა მიზეზის ჩაღრმავებულ ანალიზს ვერ შევძლებთ. მაგრამ ერთი რამ ცალსახად უნდა გავიცნობიეროთ ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია მრავალტანჯული სამშობლოს მომავალი ბედი: იარაღით, ნგრევით მოსულ თვითმარქვია მთავრობას საყოველთაო პროტესტის ტალღები უნდა შევაგებოთ. დათანხმედე მასთან თანამშრომლობას, ნიშნავს შეეგუო დაკანონებულ უსამართლობას, თვითნებობას. ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა თავის კანონიერ პრეზიდენტს უჭერს მხარს და მზად არის ბოლომდე იბრძოლოს საქართველოს თავისუფლებისათვის.

როგორც იტყვიან, დრო გამოუტანს ობიექტურ, მიუკერძოებელ მსჯავრს ყოველივეს. მაგრამ ყოველმა ჩვენთაგანმა ამიერიდან სხვანაირად უნდა იცხოვროს. საკუთარ თავში უნდა ეძიოს მიზეზი თავს დამტყდარი უბედურებისა. ჩვენვე უნდა დავთრგუნოთ საკუთარ არსებაში ეშმაკისეული და პირი ვიბრუნოთ ღვთისკენ, ერთმანეთისკენ. დღეიდან ყოველი ქართველი სულ სხვანაირი, უფრო უკეთესი უნდა გახდეს. დღეიდან სულიერად განწმენდილნი, ერთმანეთის მიმდობნი, ერთმანეთის ჭირისა და სიხარულის მოზიარენი უნდა ვიყოთ. ბევრი რამის გადასინჯვა მოგვიწევს თვით საკუთარ თავში, ჩვენს ცნობიერებაში.

ნუ შედრკებით ჩვენო თანამემამულენო, ნუ შეგაშინებთ დროით შობილი განსაცდელი. ჩვენს ხალხს ბევრი გაჭირვება გადაულახავს და ამასაც დაძლევს. ოღონდ მივენდოთ ერთმანეთს, ოღონ შევიყვაროთ ერთმანეთი, გადავარჩინოთ საქართველო.

## გვიყვება თვითმხილველი

ჩვენ ვესაუბრეთ ბადრი მაჭაცარიას, რომელიც იმ უმძიმეს დღეებში იმყოფებოდა უზენაესი საბჭოს ბუნკერში.

აი, რას მოგვიყვა იგი:

* * *

ჩავედი თბილისში მოხალისედ 28 დეკემბერს. ეროვნულ გვარდიასთან ერთად ვასრულებდი სხვადასხვა ოპერატიულ დავალებას. 31 დეკემბრიდან 2 იანვრამდე ვიმყოფებოდი უშუალოდ ბუნკერში.

ახალწლის ღამეს ტელევიზიით ოპოზიციის მიერ გადაიცა აბსოლუტურად ყალბი, შეთითხნილი სიუჟეტი, თითქოს გამსახურდიას მომხრენი არ უშვებდნენ სახანძრო მანქანას ცეცხლის ჩასაქრობად. სინამდვილეში კი გამოირკვა, რომ თვით ოპოზიციის წარმომადგენლებს ბენზინი შექონდათ სახანძრო მანქანით, რათა მოეხსათ მთავრობის სახლის კედლებისთვის. ეს მუხანათური ფაქტი გვარდიის მიერ მხილებულ იქნა.

ასევე თვითმხილველ ვარ შემაძრწუნებელი ეპიზოდისა: მოხალისეებმა გამოვიჭირეთ ორი ოპოზიციონერი, რომლებიც გამოტყდნენ, რომ თენგიზ კიტოვანისთვის მიჰქონდათ ნარკოტიკული ნივთიერება და ფული. ნივთმტკიცებები ამოღებულ იქნა მანქანიდან.

იყო ასეთი შემთხვევაც: რიტუალების სახლთან დავაკავეთ ორი პირი. ერთი მათგანი იყო ეროვნების აღმოჩნდა, რომელსაც ვუპოვეთ გარკვეული რაოდენობის თანხა. ეს მოქალაქე გამოტყდა, რომ ფული მიჰქონდა ოპოზიციის ლიდერებთან. პარადოქსულია ის მომენტი, რომ ამათ ოპოზიციონერები ვეგონეთ და ყველაფერი ჩაგვიკაკლეს. მათივე პირით გამჟღავნდა არაერთი ბინძური ქმედება, რომლის სულისჩამდგმელები იყვნენ საქართველოს კანონიერ მთავრობასთან დაპირისპირებული ავანტურისტები.

## ვისიც ეიმედება

დღევანდელ მოვლენებს თვალს ადევნებს კაცობრიობა. ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის გადარჩევა ვფიქრობ ისევ ხალხს ეკისრება. არადა, რა დასანანია, რომ ზოგნი გაუთვითცნობიერებლად ემხრობიან იმათ, ვინც ძალით, იარაღით მოვიდა ხელისუფლებაში. დრო თვითმარქვია ხელისუფლებას აუცილებლად გამოუტანს განაჩენს.

საქართველო მთლიანი, ერთიანი უნდა შეებრძოლოს ყველა იმათ, ვინც მას წინ ეღობება დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე.

ხალხს სურს სიმართლე, ხალხს სურს გაიმარჯვოს ჭეშმარიტებამ. და რადგანაც რესპუბლიკის მოსახლეობის თითქმის 87 პროცენტზე მეტმა ხმა მისცა პრეზიდენტს, ერის შვილს, გამსახურდიას, რომელმაც მთელი სიცოცხლე შეალია კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას, მან უნდა გაიმარჯვოს.

აზრთა სხვაობამ დააბნია საზოგადოების ნაწილი, მაგრამ შიდაომის დროს, სალად მოაზროვნე ადამიანი, მხოლოდ მას უნდა მიემხროს, ვისაც ენდო ხალხი, ვინც მან აირჩია და ვისაც ეიმედება.

მალე ეზეიმოს სიმართლეს, მაგრამ არა სისხლის ფასად, არამედ პოლიტიკური სიმტკიცით, პოლიტიკური დებატებით.

ლ. შულაია.

### წარსულის ფურცლები

## მას ხალხმა უწოდა „ბრწყინვალე“

გიორგი მეხუთემ მემკვიდრეობად ქვედამხობილი და დაქცეული საქართველო მიიღო. მონღოლურ-თათრულმა უღელმა, ურჯულო ბასკაკობამ სავსებით გააპარტახა და ძირფესვიანად ამოაგდო სამეურნეო ცხოვრება. მძიმედ დახარკული ქართველი გლეხი მის უმთავრეს და უსაყვარლეს კულტურულ საქმიანობას — მიწათმეურნეობას —ტოვებდა, დედაბუდიანად იყრებოდა და მთაში იხიზნებოდა. გარბოდა თითქმის ყველა, ვინც მონღოლთა გაუთავებელ ომებში სიკვდილს გადაურჩა. საქართველოს ბარი სოფლიანქალაქიანად ცარიელდებოდა და ვერანდებოდა.

ძირფესვიანად შერყეულიყო საუკუნეთა მანძილზე მკაცრად და მკვრივად ჩამოსხმული ქართული ზნეობრივი და სამართლებრივი სამყარო. იდგა „დიდი უსამართლობა და მძლავრებულობა... ერთმანეთისა ღალატად დახსმა, დაქცევა ციხეთა, სიკვდილი, ცოლის წაგვრა და დაგდება უბრალოსა და მრავალფერნი ულუსობანი“, „არსად „სამართალი არად იყოდა“.

ქართულ მთას თათრული უღელი თითქოს ვერ ხვდებოდა(?) დაგეწყნოდა და ერთმანეთს დანასისხლად გადაეკიდებიან ქართული სოფლები, თემები, „ხევები“. ქსნის ხეობაში ერთმანეთს ებრძვებოდნენ ცხაოტელნი და ჟამურელნი. „წვრილ ერს“ ხომ არ ანგარიშობდნენ და, ერთ ასეთ „ხაჭო შეტაკებაში“ თვრამეტი მარტო ხევისბერი დახოცილა. სისხლის ღვრის „მიზანი“ ხშირად სამხედრო „ხელოვნებასა“ და ვაჟკაცურ სიქველეში თავის გამოჩენა იყო და სხვა არაფერი. ამნაირი უგუნური თავმოყვარეობისა და უსაგნო მეშურნეობის მიზეზით წლობის განმავლობაში ერთმანეთს ამწყდებოდნენ ქსნისა და არაგვის მთიელები. უსაზმნოდ გამხეცებულ თანამოძმეებს ერთმანეთზე სასიკვდილო იერიში მიჰქონდათ —„დაწვეწილი“ საომარი ხელოვნებით — დროშების ფრიალით, ომახიანი ხმიანით, თავგანწირული ხმალთაკვეთებით, მიჯრილ ფართა „სიპებით“, ქვათა გორებით და ისართა მერეხ-ბარანით.

ასე, ყოფნა-არყოფნის სასწორზე შეგდებულიყო ეროვნული და სისხლიერნათესაობრივი თვითშეგნება ქართველთა შორის. და სხვა რაღა უნდოდა გარეშე მტერს. მონღოლთა მსგავს „მსოფლიო დამპყრობელთ“ რომ თავი დაგვანებოთ, შინაური მესისხლეობითა და მტრობით დასუსტებული ქართლი, „მცირე მასშტაბის“ მომტერთა საკბილოდაც გადაქცეულა. კავკასიონის გადაღმიდან მოშლიგინობდნენ მოთარეშენი. მოდიოდნენ უიჩალნი გორამდე აღწევდა ოვსთა აბრაგული თარეში.

ასეთი იყო საქართველო 15 საუკუნის ქვერქვეძლის(?) დაშლილ დაწიწკნილი პოლიტიკურად, ჭანდაშრეტილი ფიზიკურად, დაკნინებული სულიერად, დამხობილი ზნეობრივად.

სწორედ ალარ ეგვიანებოდა,— ასეთ დროს მოევლინა თავის ქვეყანას გიორგი მეხუთე ბრწყინვალე — ღირსი, იხსენიებოდეს გვერდით დიდთა ქართველთა ხელმწიფეთა: ვახტანგ გორგასალისა, ბაგრატ მესამისა, დავით აღმაშენებლისა და თამარ შვიდმნათობიერისა.

უპირველეს ყოვლისა დიდი პოლიტიკური განზრახვების მქონე ხელმწიფეს ის უნდა გაეთვალისწინებია, რომ საქართველო ჯერ ისევ ილხანმონღოლთა ყმადნაფიც ქვეყნად ითვლებოდა. ხოლო მონღოლთა წინააღმდეგ განმანთავისუფლებელი ბრძოლის გასამართ-ვად დაშლილ-დაქუცმაცებულ და დაცემულ საქართველოს ძალა არ გააჩნდა. ამიტომ გიორგიმ გადაწყვიტა ჯერ ქვეყნის შინაგანი მთლიანობისა და გაძლერებისათვის ეზრუნა. თანაც ყოველივე „საქმენი შინაურნი“ მონღოლებთან ლოიალურ-„მეგობრული“ ურთიერთობის ფონზე ეწარმოებინა.

...სწრაფად ამოქმედდა გიორგი ბრწყინვალე. ურდოდან დაბრუნებისთანავე შეუდგა ქართლის გაწმენდას ჩრდილო-კავკასიელ მოთარეშე ტომთაგან. ჯერ მიადგა გორს, სადაც თავს აფარებდნენ მარბიელად მოსული ოვსნი. ძლიერი ალყის შემდგომ მეფე გიორგიმ ციხე აიღო და ქალაქიდან „განასხნა ოვსნი“.

გიორგი მეფეს უფრო გადამწყვეტელი ზომებისთვის უნდა მიემართა. და გავიდა იგი ტფილისიდან. არაგვის ხეობას აუყვა. ჟინვალის სასახლეში შეჩერდა მცირე ხანს. იქიდან ხადაცხაოტს ავიდა. მერე ჯვართა უღელი გადაიარა და დარიალამდე ჩავიდა. არაგვის კარიდან მობრუნებული ლომისას დადგა. იქიდან ცხრაძმის ხევი ჩამოიარა. გზა და გზა, ხალხთან და ხევისბერ-ჰეროვანებთან თათბირითა და ბჭობით, მტკიცე ნებითა და ბრძნული სიტყვით, მთიელები სავსებით დაარწმუნა, რომ გიორგი მეფე სიცოცხლის ფასად აზლვევინებდა ყველას, ვინც კი მომავალშიც გაბედავდა „უსამართლობას და მძლავრებულობას“, ქართველთა შორის ურთიერთ მესისხლეობას, განუკითხავ მკვლელობას, „ციხეთა დაქცევას“, სხვისი ცოლის „წაგვრას“, საკუთარის „დაგდებას“, მოყვასის „საფლავის ხელყოფას“ და სხვათა მსგავსთა „ულუსობათა“. მოდიოდა და ყოველი თემიდან თან მოჰყავდა ხევისბერი და ჰეროვანი. მათი თანხლებით მუხრანი ჩამოვლო და ტფილისს დაბრუნდა.

სატახტო სასახლეში დარბაზობით ელოდებოდა მეფეს. აქ ყველაფერი გაემზადებინა კათალიკოს ექვთიმეს (ესეც გიორგის ნებით გამხდარიყო ქართველ ქრისტიანთა მწყემსთავრად). შეკრებილიყვნენ „ვეზირნი და ეპისკოპოზნი და მოურავნი“. მთიდან ჩამოყვანილი ხევისთავებიც შეუერთდნენ და მეფემ გახსნა დარბაზი.

დარბაზმა მიიღო მეფე გიორგის მიერ შედგენილი ახალი კანონმდებლობა საქართველოს მთიანეთისთვის.

მას ერქვა—„ძეგლის დადება“.

„ძეგლის დადებას“ გიორგი ბრწყინვალემ ახალი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კანონმდებლობა მოადევნა. ესაა სახელგანთქმული „ხელმწიფის კარის გარიგება“,—ქართული სახელმწიფო სამართლებრივი კულტურის ბრწყინვალე გამოვლინება. ეს ნიშნავდა თამარის დროინდელი სახელმწიფოებრივი სისტემის აღდგენას.

...მაშ გიორგი მეხუთემ თავისი ქვეყანა აღადგინა, აღაშენა და აღამაღლა, საზოგადოდ —„ვითარცა კეთილმან ხუროთმოძღვარმან“ და კერძოდ—„ვითარცა დავით აღმაშენებელმან“.

მან ქართველ კაცს დაუბრუნა რწმენა საკუთარი თავისა. რწმენა საკუთარი სარწმუნოებისა. რწმენა საკუთარი სამშობლოსა და ხაერთოდ — რწმენა რწმენისა.

მას ისხმა ხალხმა უწოდა „ბრწყინვალე“...

მცირე ფრაგმენტი ლ. სანიკიძის ნაწარმოებიდან —„ წიგნი მეფეთა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტელეაბსურდი დემოკრატიის ნიღბით

ევროპოლდებულმა საქართვე-ლოს ტელევიზიამ მშვენივრად იტვ... არაკანონიერი, სისხლ-ითა და წახვილით მოსული, უკაპ...ავად, მოვარდნილი „მთავ-რობის" ერთგული მსახურისა და როპერის როლი. თავგადაკლულ მა „დემოკრატმა" ტელეჟურ-ნალისტებმა ამა წლის 8 იანვარს ...აც გასაოცარი უხამსო-ბით, ლვარძლით, სიყალბითა და დემაგოგიით შეკერილ-შეკონილი სიუჟეტების თაიგული მოგვაწ...-დეს ყოველგვარი რევერანსის გარეშე. ამ თაიგულის მშვენება, ჩემი აზრით, გახლდათ ბატონ მერაბ ბერძნის „ნახოდკა" — ვინმე რუსთაველელი ქალბატონი. საწყალი! თურმე მთელი ორი დღე ჟელგამოწვდილი იხვეწ-ებოდა ტელეეკრანიდან მალაპ-არაკეთ „ჩემს ერთანო".

პირდაპირ ვიტყვი: ჟურნალისტ მერაბ ბერძნის რეჟისორობით ...დადგმული ეს ტელეფარსი წარუმატებელი აღმოჩნდა და მან როგორც იტყვიან მიზანს ვერ მიაღწია. ერთი ძველი სას იმღერო ტექსტის სტრიქონებისა არ იყოს, ამ ტელეფარსის დამ ძვეთნი, რეჟის...რი და გმირ-პერსონაჟი მრავალშვილიანი რუ სთაველ ლი ქალბატონი „...-ფშაველას ხატავდნენ და არსენა გამოუვიდათ"!.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ კონკრეტული მაგალითითაც ნათლად ჩანს მოძალადე ოპოზიცი ონერთა მიზანი: ყოველგვარი მე-თოდებით შეეცადონ ქართველი ხალხის მიერ არჩეული პრეზი-დენტისა და ხელისუფლების კომპრომეტირებას, ერს თვალში მოჩვენებითი დემოკრატიულობის ნაცარი შეაყარონ, კაენი აბე-ლად წარმოგვის... ... და ნიან-გის ცრემლები ღვარონ. მაგრამ ხალხის მოტყუება არ არის ადვილი, დღეს ვერავის დაუჯე-რებ შენს სიმართლეს, თუკი საამისოდ ვილაც ურცხვი დედა კაცის ნალაყბევილა მოგაქვს საბუთად.

დაე ილაპარაკონ, კიდევ მრავა ლჯერ გვიჩვენონ მსგავსი ტელე სიუჟეტები. ნათქვამია: ვინც ბევრს ლაპარაკობს, შეცდომე-ბიც ბევრი მოსდის.

ჯამბულ არქანია.

# „მხნედ იყავ და გაძლიერდი"!...

საქართველოს ისტორიას ტრაგ-ლამომგვრელ, სამარცხვინო ლა-ქად დარჩება დეკემბერ-იანვრის სისხლიანი დღეები. ჰმუსვას მო-უცავს ქართველი ერი. ძნელია ძმათა შორის დაღვრილი სისხლ-ისა ნაკვალევის წაშლა... ბევრი ოჯახი ძაძით შეიმოსა. ძმათა ომში დაღუპული რამდენიმე ზუგდიდელის ცხედარიც ჩამო-გვისვენეს საახალწლოდ! სახეგა-ყინულ, შუბლშეკრულ, რწმენა-დაკარგულ ადამიანთა ცივი სამ-ყაროს შექმნის საშიშროება საქართველოში. გაოცების უნა-რი დავკარგეთ, მაგრამ მაინც გვიკვირს: ვინ შესძლო ასე ულ მობლად დაეწგრია ბევრი ქართ-ველისთვის საამაყო და სათაყვა-ნებელი რუსთაველის პროსპე-ქტი, რომელიც არამც და არამც მხოლოდ თბილისელებს არ ეკუ-თვნოდა. არა, დაუჯერებელია, სრულიად საქართველოს მიერ ერთხმად არჩეული პრეზიდენტის ხელწერა არ გახლდათ ეს!

ძმათა ომში გამარჯვებული არ არსებობს. ორივე მხარე დამარ-ცხებული და შერცხვენილია, მა-გრამ უფრო შერცხვება ის, ვინც ყოველგვარ უბედურებას მხოლოდ ერთ მხარეს, დამარცხებულად წოდებულს, აჰკიდებს ზურგზე.

ნუ განვიკითხავთ ერთმანეთს! ნუ გამოვამზეურებთ იმ ბოლმა-სა და ღვარძლს, რომელსაც თურმე ლამისაა დაუხრჩივართ, დავმალოთ მაინც ის სისხლია-ნი თვალები, რომელსაც ძლევის ჟინი უჩვეულოდ ალაპლაპებს..

ვსთხოვოთ ღმერთს, თითოეულ ჩვენთაგანს მიუტევოს ცოდვა. მოგვცეს ძალა ავმაღლდეთ საკუ-თარ თავზე, „ერთმანეთით ერთ მანეთს გული გავუგულადოთ,... დონე ლონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოცქუნოთ... ვიმ ხნევთ ერთად, ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით. ვინც მხნეა, ის ძლიერია".

მაშ „მხნედ იყავ და გაძლიერ-დი", ქართველო!

# სოფლის მოიჯარენი

მიმდინარე ეტაპზე ძალზე ...იძაბა ქვეყნის პოლიტიკური ვითარება. მიუხედავად მთელი რიგი სიძნელეებისა საზოგადო-ებრივ მეურნეობებში ინერგება შრომის პროგრესული მეთოდები. იზრდება მოიჯარეთა საზღაური.

ასეა ახალკახათშიც. აქ იჯარული მეთოდით მუშაობენ მეჩაიეები, მესიმინდეები, თუ მესაქონლეები.

კოლმეურნეობის მეშვიდე მექა ნიზებული ბრიგადა ორი რგოლით პირველი გადავიდა იჯარულ მეთ-ოდზე, ამ ბრიგადის საქმიანობ-აში სიახლე ისიცაა, რომ მას არ ყავს ხელმძღვანელი, რგოლ-ებს კი ძმები ...ლ...ი და ოთარ ფიფიები უდგანან სა...ავეში.

პირველი რგოლი უვლის 10 ჰექტარ პლანტაციას, მეორე კი 7 ჰექტარს. მერგოლურეებს ...მა-რჯვიან გენადი ჭურღულია, თენგიზ ფიფია და მურთაზ ლოგუა.

დაკისრებულ მოვალეობას თავს კარგად ართმევენ ის იჯარული ბრიგადები, რომელთაც ივლიანე თორია, მერაბ ლესიძე, შალვა კვირკველია, თაზიკო რიგვავა, ჯე მალ ნაჭყებია და თენგიზ შენ-გელია უძღვებიან.

მოიჯარეებმა წარმატებით გაა ცილეს გასული წელი. მექანიზ... ბული ბრიგადის პირველი რგო-ლის წევრებმა მოკრიფეს და მრეწველობას ჩააბარეს 188 ტონა ნედლეული. არც მეორე რგოლი დარჩენილა ვალში. მის ანგარიშზე იყო 80 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. შრომითი კოლ-ექტივების წარმატებაში არის კახათის ჩაის ფაბრიკის (დირექ-ტორი ომეხ ქითანავა) კოლე-ქტივის წვლილი, რომელმაც სე-ზონის განმავლობაში შეუფერხე-ბლად უზრუნველყო ნედლეულის მიღება-გადამუშავება.

არის პრობლემებიც. მექანიზ-ატორები საყვედურს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ბრიგადები ცუდად მარაგდება ჩაის საკრეფი მანქანების სათადარიგო ნაწილე ბით. 20 თებერვალს უნდა და-იწყონ ჩაის ბუჩქების გასხვლა. აპარატი კი დღემდე არა აქვთ.

მოიჯარენი უზრუნველყოფილი არიან აზოტოვანი სასუქით. მათ უნდათ წელს აწარმოონ რაც შეიძლება მეტი ჩაი, მარცვლეუ-ლი, მეცხოველეობის პროდუ-ქტები მცირე დანახარჯებით.

# მიურატები სამეგრელოს რეგიონში

## წერილი მერვე

მკითხველმა იცის, რომ წინა წერილებში ჩვენ დავახასიათეთ მიურატები, როგორც სალიპარ-ტიანოს მამულების მფლობელე-ბი, რომლებიც გადასახადებს იღებდნენ ბატონყმობისაგან განთავისუფლებულ დროებით ვალდებული გლეხებისაგან სახნა-ველო მიწებიდან.

ისიც დავახასიათეთ, თუ როგორ მოაწყვეს მიურატებმა სოფელ სალხინოსა და ქვაღ-უაში მევენახეობის მეურნეო-ბები, მოაშენეს ყურძნის ადგი-ლობრივი და საზღვარგარეთ-ული ჯიშები. ამზადებდნენ დი-დი რაოდენობით ღვინოს და ახ დენდნენ მის რეალიზაციას, რო-გორც საქართველოში, ისე მის გარეთაც. მათ მიერ საფრანგეთში გადაგ-ზავნილი ოჯალეშის ღვინოს ეტიკეტები ახლაც ინახება ჩვენს მუზეუმში. რეგიონში მევენა-ხეობის განვითარებაში მათ სასა რგებლო საქმიანობაზე და სხვა საკითხებზეც გვქონდა საუბარი.

სალომესა და აშილის შვილებ-იდან დღეს ცოცხალი აღარავ-ინაა. ჩვენი მუზეუმის ყოფილ დირექტორს ნ. მიქაიას დაზუს-ტებული აქვს თავის ერთ-ერთ წერილში (მიურატების გენეალ-ოგიაზე) მათი დაბადება-გარდა-ცვალების წლები: ლუსიენისა — (1870-1933), ნაპოლეონისა (1872-1954), აშტუაზეტანი — (1879-1954)

ლუსიენის შვილმა აშილმა (ბაბუას სახელი) ღრმა მოხუცე-ბულობას მიაღწია, აქაურობაც მოინახულა და ახლა უკვე ალბათ ცოცხალი აღარაა.

ისიც ავღნიშნეთ, რომ მიურა-ტები ჩვენს რეგიონში ევროპულ კულტურას განასახიერებდნენ და აქაც იძენდნენ სასარგებლო ადათ-ჩვევებს. ცნობილი მწერალი სერგი მესხია თავის ქრონიკაში („შვილები") წერს, რომ მიუ-რატები ხელს უწყობდნენ სა-ქართველოსა და საფრანგეთს შორის ეკონომიკური და კულტ-ურული ურთიერთობის განვი-თარებას.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია სალომე დადიანის („პრინცესა სალომე მიურატის") მეცენატობა სწავლა-განათლების სფეროში, როგორც ვწერდით, იგი ეხმა-რებოდა სწავლამოწყურებულ სტუდენტებს მატერიალურად, სკოლაში უფასოდ ურიგებდა წი გნებს მოსწავლეებს და სხვა.

ამას წინათ, ჩვენი მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა, აბეს-ალომ ტუღუშმა მომაწოდა მის მიერ პერიოდულ პრესაში და არქივში მოკვლეული საინტერ-ესო მასალები სალომე დადი-ა...ის მეცენატობაზე. 1883 წელს გაზეთ „დროებაში" დაბეჭდი-ლა ასეთი ცნობა:

„ზუგდიდში თურმე პირველ დაწყებით ქალების სასწავლე-ბლის გახსნას აპირებენ. ამ საქმის მოთავეობა უკისრია პრინცესა მიურატისას, მთავრის დადიანის ასულს, რომელსაც 12 ივნისს სადილი გაუმართავს ხალ ხისთვის და გამოუცხადებია, რომ ამ სასწავლე...სათვის ქვ...თკი-რის შენობას მე ავაგებო".

როგორც საარქივო მასალები-დან ირკვევა, სალომე დადიანს დაპირება შეუსრულებია. 1898 წელს ზუგდიდში უკვე არსე-ბობდა ერთკლასიანი ქალთა სასწავლებელი, რომელსაც სალ-ომე ინახავდა, (ისე კი, შკითხ-ველს შევახსენებთ, რომ პირ ველი სასწავლებელი ზუგდიდში გაიხსნა 1867 წელს).

როგორც გაზეთი „ივერია" იტყობინებოდა 1896 წლის ივლ-ისის მიწურულს გურია-სამეგრ-ელოს სამრევლო სკოლების საეპარქიო საბჭოს ზუგდი-დის სამაზრო განყოფილებას აღუძრავს შუამდგომლობა მთავ-რობის წინაშე, რომ ნება დარ-თო ზუგდიდის მაზრის სამღვ-დელოებისათვის გაეხსნა ქალთა ორკლასიანი სასწავლებელი ზუგ-დიდში. სალომე დადიანმა ამ სასწავლებელს სამი წლით უფ-ასოდ დაუთმო ერთ-ერთი თა-ვისი სახლი. გარდა ამისა, აჩუქა მიწის ნაკვეთი შიგ ზუგ-დიდში.

სალომე დადიანის მეცენატობა სწავლა-განათლების საქმეში უთ უოდ აღნიშვნის ღირსია.

როცა მიურატების შესახებ ვწერთ, მკითხველს გვინდა ისიც ვაუწყოთ, თუ რა მომწერა ევროპის ქვეყნებისა და საქართ-ველოს ისტორიის გამოჩენილ-მა მკვლევარმა, პროფესორმა ილია ტაბაღუამ ჩვენს თხოვნაზე — ხვდებოდა თუ არა იგი პარ-იზში მიურატების შთამომავ-ლებს. „ლუსიენის შვილს აშილ მიურატს — წერს ბატონი ილია — პირველად შევხვდი 1962 წელს პარიზში, იქ, არქ ვში მუშაობის დროს. აღმ ჩნდა, რომ იგი ცხოვრობდა საფრან-გეთის საგარეო საქმეთა სამი-ნისტროს გვერდით. სადაც მე არქივში ვმუშაობდი. მისი ბინა იყო უნივ...რსიტეტის ქუჩაზე. აქ მას ეკავა ბინა, რომლ ს ერთი სართული მუზეუმი იყო, სადაც ძირითადად წარმოდგენ ილია დადიანების ყოფა-ცხოვ რება. გამოუქვეყნებია დად...ანთა საგვარეულოს გენეალოგიაც. მან გამაცნო თავისი შვილები: ოთხი ვაჟი და ოთხი ქალიშ-ვილი, ზოგ მათგანს შემდეგ ვხვდებოდი სორბონის უნივერ-სიტეტში, ლექციებზე.

1969 წელს აშილი საქართველ ოში რომ ჩამოვიდა, მე მაშინ ავსტრიაში ვიყავი, სამეცნიერო მივლინებაში. ჩემთან ბინაში დაუ რეკია და რომ გაუგია თბილისში არ ვიყავი, წერილი დაუტოვებია. მას ბევრი სურათი გადაუღია თბილისში. განსაკუთრებით ზუგ დიდში და მარტვილში, მაგრამ იმ დროის წესის მიხედვით სურ-ათები არ გაუტანებიათ. წერი-ლში იგი მთხოვდა როგორმე გადამერჩინა ეს სურათები. მე მაშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალ-ური მდივანი ვიყავი. დავრეკე სადაც საჭირო იყო და სუ-რათები გამომიგზავნეს. ჩავაწყვე იგი სპეციალურ პაკეტში და სა-გარეო საქმეთა სამინისტროს სა-ხელით გადავუგზავნე აშილს პარიზში. სულ მალე მისგან მადლობის წერილი მივიღე.

მეორეჯერ აშილს შევხვდი პარიზში 1972 წელს. 1984 წელს ისევ პარიზში ყოფნის დროს მოვიკითხე, აღმოჩნდა — ბინა შეე-ცვალა და საცხოვრებლად პარიზ-ის სხვა უბანში გადასულა, დავურეკე, გაეხარდა, მისვლა მთხოვა, დრო...ც დამინიშნა, მეც დანიშნულ დროს ვეახელი. როცა ბინის კარი გაიღო სიმღე-რით მომესალმა: „ვიშო ჩელა, აშო ბუსქა..." დიდხანს ვისაუ-ბრეთ. ახსოვდა ცალკეული ქარ-თული და მეგრული სიტყვები. მიჩვენა მიურატების მოდგმის სურათები და რომ მათი შთამ-ომავლობით მოფენილია მთელი საფრანგეთი. ბევრი მათგანი საფ-რანგეთის გარეთაც ცხოვრობს". (ულრმეს მადლობას მოვახსენებ ბატონ ილიას ზემოაღნიშნული სტრიქონებისათვის).

მიურატების შესახებ კვლევა-ძიებას გავგრძელებთ.

ჟამანტი პაჭკორია,
ისტორიის მეცნიერებათა კან-დიდატი, ზუგდიდის სამეცნიე-რო ცენტრის — ისტორიული მუზეუმის მეცნიერ თანამშრო-მელი.

## პრინციპული სიგნალის პასუხად

# რომ თავიდან ავიცილოთ

განსული წლის 8 დეკემბერს გაზეთ „ოდიშში" გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი სათაურით. „ვეტპერსონალის უპასუხისმგებლობა", რომელიც ეხებოდა ზუგდიდის რაიონის ცხოველთა დაავადებებთან მებრძოლი სადგურისა და კერძოდ, ახალსოფლის ვეტსამსახურის ნაკლოვანებებს.

წერილში აღნიშნულ ფაქტზე მსჯელობა გაიმართა რაიონის ვეტპერსონალთა თათბირ-სემინარზე. აღინიშნა, რომ მსგავს ფაქტებს ადგილი აქვს რეგიონის სხვა სოფლებშიც. თათბირზე მკაცრად იქნა გაფრთხილებული სოფლის ყველა ვეტსპეციალისტი. სადღეისოდ რაიონის ვეტპერსონალი მზადაა შეტყობინებისთანავე გაუწიოს სოფლის მოსახლეობას სათანადო ვეტსამსახური—გვწერს რაიონის ცხოველთა დაავადებების სადგურის უფროსი, რაიონის მთავარი ვეტექიმი რ. ჟურული.

ამასთან აფრთხილებს მოსახლეობას და მოაგონებს, რომ რაიონის სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ინფექციური და ინვაზიური დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების გასატარებლად ბიოპრეპარატებისა და მედიკამენტების მოთხოვნა წარმოებს წლის დასაწყისში სტატისტიკური მონაცემებით აღრიცხული სულადობის შესაბამისად, მაგრამ ეს წესი ხშირად ირღვევა და ვეტღონისძიებების გატარების დროს თავს იყრის აღურიცხავი პირუტყვი, რაც ქმნის სიძნელეებს სამყოფი წამლებით წომარაგების საქმეში.

იმისათვის, რომ ორგანიზებულად ჩატარდეს ეპიზოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებები, საჭიროა მასში აქტივის და სოფლის ხელმძღვანელობის მონაწილეობა. მათ უნდა დააუწყონ დასამუშავებელი (ასაცრელი) პირუტყვის მეპატრონეები. აცრები უნდა ჩატარდეს დათქმულ დროს, მაგალითად ღორის ჭირის საწინააღმდეგო აცრა ერთდროულად უნდა ჩაუტარდეს 200 ღორს. ამ რაოდენობის პირუტყვისთვის განკუთვნილი ვაქცინა ვარგისია გახსნიდან მხოლოდ ორი საათის განმავლობაში. ხშირად, მაშინ, როდესაც მოსახლეობა გაფრთხილებული არ არის იგი იხარჯება 15-20 სული ღორისათვის, დანარჩენი კი ნადგურდება, რითაც ზარალობს სახელმწიფო, მოსახლეობა და ცდება ვეტსპეციალისტიც.

უკანასკნელ დროს გახშირდა შემთხვევა, როცა მოქალაქეები კერძო პირებისაგან იძენენ ამა თუ იმ ვაქცინას, რომლის დოზირება და ვარგისიანობა მხოლოდ ვეტსამსახურს უნდა მიენდოს და არა კერძო პირებს.

რაიონის ცხოველთა დაავადებებთან მებრძოლი სადგურის ვეტსპეციალისტებს უძნელდებათ სამსახურის გაწევა ადგილებზე, სატრანსპორტო საშუალების უქონლობის გამო. კონტაქტს ვითხოვთ ადგილობრივი ხელმძღვანელებისა და ვეტსამსახურის მუშაკებისაგან, რათა თავიდან ავიცილოთ ცხოველთა დაავადებები.

---

# გ. ე. ჩიხლაძე

ზუგდიდის ტექნიკური ინტელიგენციის რიგებს გამოაკლდა თვალსაჩინო მამულიშვილი გიორგი (ჟორა) ერმილეს ძე ჩიხლაძე.

მან, ყრმობის წლებიდან მოყოლებულმა დღემდე იარა არც თუ ისე იოლი, მაგრამ ერთობ დამაჯერებელი, შთაგონებული ნაბიჯებით.

დაიბადა 1918 წელს ქალაქ ადლერში. პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სწავლა სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში განაგრძო. შემდეგ იყო ლენინგრადის სამხედრო საინჟინრო სასწავლებელი, რომლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ბელინსკის რაიონში. სამამულო ომის დაწყების დღიდან იგი მობილიზებულ იქნა მოქმედ არმიაში და 1943 წლამდე ვაჟკაცური შემართებით იარა ცეცხლიან გზაზე. მისი საბრძოლო გზა არაერთი სახელოვანი ფურცლის შემცველია. მიღებული ჰქონდა მთავრობის მრავალი ჯილდო., სამამულო ომის პირველი ხარისხისა და წითელი ვარსკვლავის ორდენები, მთავრობის საპატიო სიგელები. სამამულო ომში მიღებული ჭრილობის შემდეგ იგი მუშაობდა ზუგდიდის, ხობის, სენაკის, ოჩამჩირის სამხედრო კომისარიატებში სხვადასხვა თანამდებობებზე.

ლამაზი ფურცლები ჩაწერა ამ ამაგდარი პიროვნების ბიოგრაფიაში ენგურჰესის მშენებლობამ, სადაც იგი 1965 წლიდან 1982 წლამდე სათავეში ედგა კადრებისა და სპეცნაწილის განყოფილებას. მუშაობდა მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

1982 წლიდან უკანასკნელ დღემდე მუშაობდა ზუგდიდში მშენებარე ვექტორში სპეცნაწილის უფროსად.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მოქალაქე, მოსიყვარულე მეგობარი და ამხანაგი, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს კოლეგების, მეგობრების, ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

---

# გ. დ. კევლიშვილი

გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი გიორგი (გოგი) დავითის ძე კევლიშვილი.

იგი დაიბადა 1912 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ საკეციაში. დაამთავრა ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი.

შრომით საქმიანობას იწყებს 1935 წელს. სხვადასხვა დროს მუშაობდა წალენჯიხის, მოქვის, ზედაეწერის, ჩაის მეურნეობებში, გალის აგროსამრეწველო გაერთიანებაში მთავარ ეკონომისტად. წლების მანძილზე იყო საქართველოს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ტრესტის უფროსი ეკონომისტი.

1981 წლიდან გოგი კევლიშვილი ზუგდიდშია. ზუგდიდის აგროსამრეწველო გაერთიანების საგეგმო - საფინანსო განყოფილების უფროსის მოადგილეს თავისი წვლილი შეჰქონდა სახალხო მეურნეობის წინსვლის საქმეში. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

ზუგდიდი უკანასკნელ გზაზე მიაცილებს ვალმოხდილ ადამიანს, უანგარო მოქალაქესა და ნიჭიერ სპეციალისტს, რომლის მიერ ნათლად გავლილი გზა სამაგალითოა სხვათათვის.

ამხანაგების ჯგუფი.

---

რედაქტორის მოადგილე
ზ. ცხონდია.

---

დედა ეთერი, მამა რეზო, და ელისო, ბებიები: ნორა წურწუმია, ქიონია ახალაია, სიძე ხვიჩა ლაშხია, დეიდები: ციური, დალი, შორეშე ახალაიები, ბიძები: კაკო, ანზორი წურწუმიები, რომანი, ნოდარი ახალაიები, მამიდა სხულუხია, მურთაზი ბუკია, ბიცოლები: ნაზო, ძაბული, ტონია, ფაცია, ნელი, ჟუჟუნა, გულნაზი, ბიძაშვილები, ზური, ქეთინო, მარეხი, მერაბი, მანანა, ბესო, ლაშა, გია, გოჩა წურწუმიები, როზეტა. ნუკრი, ლექსო, შოთა, თეა ახალაიები, დეიდაშვილები: ვია, ქეთინო, გელა, ირმა სხულუხიები, ლალი, ხვიჩა ბუკიები, ახლო ნათესავებით იუწყებიან

**შვიადი (გოგია) რეზოს ძე წურწუმიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19 20 იანვარს. დაკრძალვა 21 იანვარს სოფ. ჭითაწყარში. გამოსვენება რუსთაველის 95.

---

მეუღლე ხუტა, შვილები: ეკა, მაკა, გია. შვილიშვილები: თამუნა, გიგი ლოლუები, და ციცი, ძმა ჟორა, ძმისშვილები: ბიძინა. ლალი, თენგიზი. თამაზი, სოსო თორდიები, სიძეები: გია ლოლუა, გიორგი ვეკუა, პალიკო კოხია, ნოდარ შენგელია, მულები: თამარი, ჟუნა. სვეტლანა ანთელავები, რძლები: ნათელა. ჟუნა. ნელი. როზა, მაზლიშვილები: დემური, თენგიზი. მურთაზი. ზურაბი, ილია, რუსიკო. სოფო, ელიკო ანთელავები, მზახალი თომა ლოლუა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ნათელა დავითის ასულ თორდია - ანთელავას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16 იანვარს. გამოსვენება ნინოშვილის 46-დან 4 საათზე.

---

აგროსამრეწველო გაერთიანების კოლექტივი და რაიონის ეკონომიური სამსახურის მუშაკები ღრმა მწუხარებით იუწყებიან გოგი დავითის ძე კევლიშვილის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

დედა გოგოლა, მამა ჟორჟი, მეუღლე ნატო. შვილები: სოფიკო, ნიკა. ძმები: გონელი, პალმირო, მერაბი, კახა, და ლუდმილა, ბიძები კოტე თორდია, ტიტიკო ზარქუა, კუტა ღურწკაია, გულადი ზარქუა, მამიდა მაგინა, დეიდა გული. რძლები: ელისო. მანანა, ლარისა, ირინა, ბიცოლები: ქეთო, გოგუცა, თინიკო, ცაცი, ძმისშვილები: ლუდმილა. იაგო. ინდირა. ედიკი. ელვა. ლევანი. ფრიდონი. ლიუდინე. გოგა. თამარი. დათო. ქეთინო. თამარი. დისშვილი მიშა. ბიძაშვილები: მერაბი. მარინე თორდიები. მზევი, ალიოშა, ელგუჯა, თოვლია, ასლანი. რუსლანი, გელა. რომანი ზარქუები. მამიდაშვილები: ემზარი, გიული. სოსო გაბელაიები, დეიდაშვილი ზური ღურწკაია, სიძეები: ამირან პირტახია, ზური თოდუა, პაატა ჯლამაია, სიდედრი ქსენია პერტენავა, ცოლისძმები: კოლია, რამინი. რობინი პერტენავები ოჯახებით იუწყებიან

**ნიკო ჟორჟის ძე თორდიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17 იანვარს. დაკრძალვა 18 იანვარს ზედაეწერში.

---

მეუღლე ლიანა, შვილები: ნესტანი, ნათია, ინგა, და ვენერა, ძმები: ბონდო, ამროსი. რძლები: ქეთო, გული, ლორიტა, ზაირა, სიდედრი ტატიანა, სიმამრი შოთა ნაჭყებია, ცოლისდები: აზა ციური. ნარგიზა, ცოლისძმები: ვახტანგი, თემური, სიძეები: ამალენგი ჯლამაია, ჟივი ჭითანავა, ვახტანგ შამუგია, გია გვაგვალია, გიგა უბირია, დისშვილები: ნაპო, ზაირა. ნელი. იურა. ლეილა. კარლო. ომარი. სვეტა გერგედავები, ძმისშვილები ნანა, ნინო. გოჩა. ირაკლი. ბიძაშვილები: შალიკო თორდია, ასპირო. არდაშელი, გული. ბონდო, ბაგრატი. შაჩუ, ნიკიფორე, სლავა. მიშა, ჟენია. შოთა სართანიები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ვახტანგ თადეოზის ძე თორდიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17 იანვარს. დაკრძალვა 18 იანვარს სოფელ ზედაეწერში.

---

შვილები ლიანა, ფრიდონი, ჟიული. ეძენი ჯიჭონაიები, ელგუჯა გვაჯაია, იურა ჯოლოგუა, ძმა ვანო გვაჯაია, შვილიშვილები ეკა, ლალი, ირმა. ნინო, თეა, მაკა, დამიანე, დათო, თემური ჯიჭონაიები. რძლები: ლილი, კამაშა გვაჯაიები, მიმოზა ადამია, ლეილა გვალია, ნანი ჯანაშია, მედიკო ესებუა. ძმისშვილები: ვანელა, ციური, დოდო, ციცო, რენო, მერაბი გვაჯაიები, დეიდაშვილები: შურა. ლუბა, ნანავები, ბიძაშვილები: კარლო გვაჯაია, ვალერიანე, ლულუნი კუკავები, მამიდაშვილები ნორა მაქაცარია, ვალია. ცუცა, ქანთარიები, მულიშვილები: ლამარა, ირაკლი ჯოლოგუები და ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ლიდა დავითის ასულ გვაჯაია-ჯიჭონაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17 იანვარს. დასაფლავება 18 იანვარს, 4 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, წულუკიძის ქ. 19.

---

დედა ინეზა, და ნანა, ბებიები: გული ყალიჩავა, ნუცა მებონია. ბაბუა შაქრო ჩანგელია, ბიძები: პაატა. ჟორა. ბორისი ყალიჩავები. რუბენი წურწუმია, გუნტერი, ზური ჩანგელიები, ვალიკო გეთია, ვახტანგი, ჯუმბერი ყორშიები, მამიდები: მთვარისა, სულიკო. ბიცოლები: დოდო. ნაირა. ეთერი. ბაჩუა. დეიდები: ლამარა, ნელი ყორშიები, მამიდაშვილები: მარიკა, გოგიტა წურწუმიები. სოსო. ბესო გეთიები. ბიძაშვილები: პაატა, ია, ნანა ჩანგელიები, ნატო. გიორგი. კობა. კახა, ირაკლი ყალიჩავები ოჯახებით იუწყებიან

**ნინო თორნიკეს ასულ ყალიჩავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17 იანვარს. დაკრძალვა 18 იანვარს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი. მაიაკოვსკის 55.

---

მეუღლე თამარი, შვილი როლანდი. რძლები: გულიკო ხორბალაძე, მაია გვაზავა, დისშვილები: ციალა. ნუგზარ ლაშხიები, ქვისლი ვალიკო რიგვავა. შვილიშვილები: ნონა. როინ. სოფიკო. სალომე რიგვავები და თამარ მიქაძე. სიძე გონელი მიქაძე, ბიძაშვილები და დეიდაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან. რომ გარდაიცვალა გერმანე სოფრომის ძე გვარამია. პანაშვიდი 16. 17 იანვარს 16 საათზე. დაკრძალვა 18 იანვარს 16 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქ. 160.

---

მეუღლე შოთა გაგუა, გამზრდელი ნინა ფიფია, შვილები: ლონდა. დოდო. სვეტა. რევაზი. და ტატიანა, ძმები: ბოჩია. გივი. ზაურ. ომარი. ნოდარი ქირიები, რძლები მზია ცინაძე, ბუცა მორგოშია. ნინელი ანთია. ფრიდუშა კვარაცხელია. კლარა ჯანჯღავა, მული მიმოზა, სიძეები: რობიკო ჩიქობავა. გივი მოლაშხია. ვახტანგი წულეისკირი. შვილიშვილები. დისშვილები. ძმისშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები. ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**თალიკო (წიფა) მიხეილის ასულ ქირია-გაგუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18, 19 იანვარს. გამოსვენება 21 იანვარს 5 საათზე ქ. ზუგდიდი, ბენდელიანის (კალინინის) ქ. 70.

---

გოგუცა ღურწკაია, სევე უბილავა, შვილებით გოგოლა და კაკო, რძალი ლენცო გაბისონია, სიძე ვანო ჭკადუა, შვილიშვილები: რუსიკო და ნინო ჭკადუები, რამაზი და გენადი უბილავები იუწყებიან

ჟორა ერმინეს ძე ჩიხლაძის გარდაცვალებას.

---

ნანი და თორნიკე ქირიები შვილებით თამარი და მიშიკოთი იუწყებიან მამიდის

თალიკო მიხეილის ასულ ქირიას გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილი ეთერი. სიძე რაჟიკო კოლუა, შვილიშვილები: მზია. პაატა კოლუები, ვასო. ნაზი კოლუები. ოჯახებით იუწყებიან

**მარო ლექინაძე-შამუგიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18 იანვარს ორსანტიაში.

---

ნინა ღურწკაია შვილებით: კლორუზა, ლუიზა. ილუშა. გენდრით. რძლები მადონა გაგელია, როზეტა ხუფენია, სიძე რევაზი შენგელია, ჯემალი ჩხოლარია ოჯახებით იუწყებიან სიძისა და ბიძის გიორგი ერმილეს ძე ჩიხლაძის გარდაცვალებას.

---

მეუღლე ცუცა კუტალია, შვილები სვეტა, ლალი. გულადი, დები გუგული, ნინა. თათუშა. ბუცა. რძლები: ნუნუ ოდიშარია, შურა, ნინა. ეთერი. ნაზო. სიძეები ზურაბ გოგოხია, გივი სახოკია, ბაჩუკი ალშიბაია, შვილიშვილები ციცო, ვაკა. თამრიკო. შვილთაშვილი ზურიკო ალშიბაია, ცოლისდები: გოგუცა, ლუნა. ანინა, ცოლისძმები: პაჭიკო ღურწკაია, მამია, ოროენი კუტალიები, ბიცოლა თამარ ჩიხლაძე, შვილებით მზახლები გენია შენგელაია, ლიოა სურმავა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**გიორგი (ჟორა) ერმილეს ძე ჩიხლაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17 იანვარს. გამოსვენება 18 იანვარს. 3 საათზე ბაქოს ქუჩა 25-დან.

ინდექსი ჩვენი რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80 რედაქტორის მოადგილის 2 33 69. პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96. სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78, მშრომელთა წერილების 2.25.1[illegible]
საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა მერაბ კოსტავას ქ. №56, ☎ 28 07, ტირაჟი 5000, შეკ. №5